ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3790070

ნომერი: AR1570556

თარიღი : 15.01.2018

გაცემის თარიღი : 24.01.2018

გაცნობის თარიღი : 25.01.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი III , კორპ. N19-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი III , კორპუსი 19 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი, III მ/რ., კორპუსი N19-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ცირა შარაშიძე პ/ნ 01005004735
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 55 კორ. 1 ბ. 64

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 სექტემბრის №3531241 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 15 იანვარს №AR1570556 განცხადებით მომართა ცირა შარაშიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 12 სექტემბრის №3531241 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 12 სექტემბრის №3531241 ბრძანებით, შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, დიდი დიღომის დასახლება, III მიკრო/რაიონი, კორპ N19-ის მიმდებარედ, ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, III მიკრო/რაიონი, კორპუსი 19, მიმდებარედ, ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, III მ/რ, კორპუსი N19-ის მიმდებარედ - თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ: №01.10.08.005.130), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ,,ბ'' ბლოკის არქიტექტურული პროექტი და სამსახურის 2017 წლის 15 სექტემბრის №3542028 გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 15 სექტემბრიდან 2019 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 სექტემბრის №3531241 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ: გამორჩენილი ავტოსადგომის ფართობად 557.4 კვ.მ-ის, საცხოვრებელ ფართობად 3601.1 კვ.მ-ის ნაცვლად 3601.6 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 5349.5 კვ.მ-ის ნაცვლად 5907.4 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ საპროექტო გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 სექტემბრის №3531241 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 სექტემბრის №3531241 ბრძანებაში, კერძოდ: გამორჩენილი ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 557.4 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად 3601.6 კვ.მ, საერთო ფართობად 5907.4 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 სექტემბრის №3531241 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 სექტემბრის №3531241 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.